ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2024 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მერიისა და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებითა და სხვა ადმინისრტრაციული აქტებით.

ხარაგაულისმუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა განისაზღვრა პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეთა 85 საშტატო ერთეულით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 48 ერთეულით. 2024 წლის პირველი იანვრიდან დღემდე საშტატო ერთეულით დასაქმებული იყო - 58, ვაკანსია - 20. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით - 46, ვაკანსია - 2. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განსაზღვრული იყო - 53 ერთეულით და დასაქმებული იყო 49 პირი.

ადმინისტრაციული სამსახური შედგება ოთხი განყოფილებისაგან:

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
- წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება
- იურიდიული განყოფილება

2024 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 5759 კორესპოდენცია. აქედან კანცელარიაში მატერიალური სახით შემოსულია 3986 წერილი, ელექტრონულად მიღებულია 1773. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენი ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა- 6163, ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი - 3259 ბრძანება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 2075 წერილი. სოციალურ საკითხებზე შემოსულია 4780 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -277 განცხადება.

მერიის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში

გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში დეკლარაციების წარდგენი ს პროცესს.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის საფუძვე ლზეც 2025 წლის 9 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება პროფესიულ საჯარო მოხლეებზე
- მესამე კლასი - 32 , მეორე კლასი - 23 , პირველი კლასი -1.

მიმდინარე წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა 9 კონკურსი. აქედან: 2 - დახურული , 3 - შიდა და 4 -სტაჟირების.

ხარაგაულის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის, ეფექტიანი კომუნიკაციის მეშვეობით, საზოგადოებას მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია როგორც მიმდინარე პროექტებზე, ასევე სამომავლო გეგმებზე. ინფორმაციის მართვის და გავრცელების მიზნით მუდმივ რეჟიმში ხდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდის (www.kharagauli.gov.ge) ადმინისტრირება და განახლება – ვებგვერდზე ყოველდღიურად ვაქვეყნებთ ინფორმაციას ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ პროექტებზე. ასევე, მერიის ოფიციალურ Facebook გვერდსა და ჯგუფზე ვაშუქებთ მიმდინარე პროცესებს, ვამზადებთ და ვავრცელებთ ინფორმაციას მოქალაქეებისთვის. ინფორმაციის სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით ვთანამშრომლობთ მერიის სხვადასხვა სამსახურებთან, მედიასთან– რეგულარული კომუნიკაცია გვაქვს საინფორმაციო სააგენტოებთან (ipress.ge, topnews.com.ge). თანამშრომლობის ფარგლებში, ტელეკომპანიების მეშვეობით ვაშუქებთ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას. საზოგადოებასთან პირდაპირი კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით, ორგანიზებას ვუწევთ მერის სატელევიზიო გამოსვლებს, ვაწარმოებთ გრაფიკულ და დიზაინერულ სამუშაოებს – საინფორმაციო მასალების ვიზუალური გაფორმების მიზნით. ვახდენთ მიმდინარე მოვლენების ვიდეო გადაღებას, მონტაჟს ვაგროვებთ და ვანახლებთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ მედია და ვიზუალურ მასალებს. ვქმნით ციფრული არქივს. ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია მოქალაქეთა უკუკავშირის მონიტორინგი და რეაგირება. მერიის ოფიციალურ გვერდზე შემოსული კითხვები და მოსაზრებები სისტემატურად მუშავდება და შესაბამის სამსახურებს გადაეცემა ვახდენთ პრობლემებზე ეფექტურ რეაგირებას.

კოორდინაციის განყოფილება კონტროლს უწევს ადმინისტრაციულ ერთეულებში სამართლებრივი აქტებისა და სხვა დავალებების დროულ შესრულებას, აქტიურად თანამშრომლობს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სამოქალაქო რეესტრთან, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტთან, და სხვა უწყებებთან. სისტემატურად უწევენ კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს საქმის წარმოების საქმეში კანონმდებლობით დადგენილი წესების განსახორციელებლად, თვალყურს ადევნებენ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას, მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიების მუშაობაში, პერიოდულად შეაქვთ ცვლილებები საშეშე ბარათების მთხოვნელ მოქალაქეთა სიებში.

განვლილ პერიოდში განყოფილებამ რეაგირება მოახდინა 375 კორესპონდენციაზე.

იურიდიული განყოფილების მიერ დადებული იქნა სამართლებრივი ვიზები სხვადასხვა სახის დოკუმენტებზე;
შედგენილ იქნა:

- სარჩელები, ამხანაგობა ,,ნიუგრუფის“ და შპს ,,სატრანსპორტო კომპანიის“ მიმართ, შესაგებელი, შპს ,,გეტა 09-ის“ ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით;
- მოსაზრებები, შპს ,, ნიუ გრუფისა" და შპს ,,ჰერიოს" სარჩელის უზრუნველყოფის სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით;
- ბრძანებების პროექტები, ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ , ა(ა)იპ „სპოტრის ცენტრის“ , ა(ა)იპ „კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრის“ წესდებებში ცვლილების შეტანის შესახებ და რეგისტრირებული იქნა საჯარო რეესტრში;
- მოხსენებითი და სამსახურებრივი ბარათები სხვადასხვა საკითხებზე და გაგზავნილი იქნა შესაბამის უწყებებში.

მომზადებულ იქნა:

- ყველა საჭირო დოკუმენტის პროექტი ა(ა)იპ „სპოტრის ცენტრისა“ და ა(ა)იპ „კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრის“ რეორგანიზაციის მიზნით;
- საჭირო დოკუმენტის პროექტი შპს ,,ხარაგაული 2011-ის“ ლიკვიდაციის დასრულების მიზნით;
- პასუხების პროექტები ფიზიკური პირებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან შემოსულ მომართვებსა და წერილებზე .
- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტები, ზოგიერთი აქტის ბათილად ცნობაზე, სხვადასხვა სახის კომისიების შექმნაზე, მერიის სტრუქტურული ერთეულის ზოგიერთი სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირება დი სკოლებიდან გრანტისმფლობელი სტუდენტებისათვის ფულადი საჩუქრის გადაცემის თაობაზე;
- საპატიო ხარაგაულელის წოდების მინიჭების თაობაზე;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის დებულების პროექტი;

- ინსტრუქცია, საარჩევნო პერიოდში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა სახელმძღვანელოდ;
- მიმართვა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე.
- პასუხის პროექტები, მომართვებზე - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად მომზადებულ იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტები:

- „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“
- ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გას აშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შ ეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ'' ,
- ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“.

ზესტაფონის რაიონულ და ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოებში გაგზავნილ იქნა:

- დასაბუთებული შუამდგომლობები მათ წარმოებაში არსებულ სამოქალაქო საქმეებზე შინაგან საქმეთა ორგანოებისადმი სარჩელების ჩაბარების დავალების მიზნით.
- დაუსწრებელი გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე ფ.პ ნათია ჭუმბურიძის, შპს ,,არქიტექტისა“ და შპს ,,მიმდემის“ ამხანაგობა ,,ელიტი და კომპანიის“ , შპს ,,დავითის“ (N2/336-2021) მიმართ.
- მოტივირებული განცხადება შპს ,,დავითის“ (საქმე N2/567-2020) მიმართ აღძრულ სარჩელთან დაკავშირებით სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების თაობაზე.

წარდგენილი იქნა განცხადებები და სასამართლო აქტები აღსრულების

ეროვნულ ბიუროში მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო განჩინებების აღსრულების მიზნით.

განყოფილების იურისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სხვადასხვა კომისიის მუშაობაში; მათ მიერვე გაწეული იქნა სხვადასხვა სახის კონსულტაციები: მერიის სამსახურების, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპების ხელმძღვანელი პირების და თანამშრომლებისათვის, მოქალაქეებისათვის.